

შპს მწვანე ნერგები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31/12/2021 ლარი
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3	1,456,365
არამატერიალური აქტივები		-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		2,985
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,459,350
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,159,072
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1,919,580
სხვა მიმდინარე აქტივები	4	3,630,776.66
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,709,429
სულ აქტივები		8,168,779
ვალდებულებები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-
საგადასახადო ვალდებულებები		247,395
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	102,478
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		349,873
სულ ვალდებულებები		349,873
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		-
გაუნაწილებელი მოგება		7,818,906
გადაფასების რეზერვი		-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-
სულ საკუთარი კაპიტალი		7,818,906
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		7,816,611
არამაკონტროლებელი წილი		2,295
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,168,779

შპს „მწვანე ნერგები“-ს
დირექტორი გიორგი ლორთქიფანიძე




მოგება-ზარალის ანგარიშგება 01.01.2021 - 31.12.2021 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2021 ლარი
ამონაგები	8	8,096,509
ამონაგების თვითღირებულება		(3,158,686)
საერთო მოგება		4,937,823
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,182,466)
ფინანსური ხარჯი		-
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	(50,239)
მოგება დაბეგვრამდე		3,705,118
მოგების გადასახადი		(37,152)
წმინდა მოგება/ზარალი		3,667,966
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		3,648,342
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		19,625
მოგება/ზარალი		3,667,966

შპს „მწვანე ნერგები“-ს
დირექტორი გიორგი ლორთქიფანიძე



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	არამაკონტროლებ ელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 31.12.2019	-	1,324,594	-	-	1,324,594
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-				-
გაცემული დივიდენდები	-	(467,368)			(467,368)
პერიოდის მოგება	-	3,504,240			3,504,240
ნაშთი - 31.12.2020	-	4,361,465	-	-	4,361,465
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-			-
გაცემული დივიდენდები	-	(247,678)			(247,678)
პერიოდის მოგება	-	3,705,118	3,702,824	2,295	3,705,118
ნაშთი - 31.12.2021	-	7,818,906	3,702,824	2,295	7,818,906

შპს „მწვანე ნერგები“-ს
დირექტორი გიორგი ლორთქიფანიძე




შპს “მწვანე ნერგები”

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მწვანე ნერგები დაფუძნდა 2018 წლის 02 ოქტომბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 402102238, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გიორგი ცაბაძის ქუჩა, კორპუსი 4, ბინა 56. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი გიორგი ლორთქიფანიძე (01024019871), საქართველოს მოქალაქე.

დირექტორი: გიორგი ლორთქიფანიძე (პ.ნ. 01024019871)

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა სპეციალიზებული საქონლით (მცენარეებით და ხემცენარეებით) ვაჭრობა.

31 დეკემბერი 2021-ის მდგომარეობით შპს მწვანე ნერგები მფლობელია შემდეგი საზოგადოებების:

- შპს მწვანე ფასადი ს/კ 400311042 (წილი 100 %)

რეგისტრაციის თარიღი: 03/06/2021

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, გურამიშვილისგამზ. N28, ბინა.4

დირექტორი - დავით ქისიშვილი, 08001008143

- შპს ფლორიდა ს/კ 421279244

რეგისტრაციის თარიღი: 02/04/2021

იურიდიული მისამართი: საქართველო, წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი

მესაკუთრე წილი წილის მმართველი

ნინო ნიქაბაძე, პ/ნ 53001022533 - 33%

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მწვანე ნერგები, 402102238 34%

ნინო კილაძე, პ/ნ 53501062825 - 33%

დირექტორი - ნინო კილაძე, 53501062825

- შპს მწვანე გოდანი ს/კ 402182455
რეგისტრაციის თარიღი: 02/04/2021

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, გიორგი ცაბაძის ქუჩა, კორპუსი 4, ბინა 56

მესაკუთრე წილი წილის მმართველი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მწვანე ნერგები, ს/კ 402102238 - 80%

თამარ ფარემუზაშვილი, პ/ნ 01002015457 - 20%

დირექტორი - გიორგი ქისიშვილი, 08001007150

ჯგუფის შექმნის თარიღია 29 მარტი 2021 წელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის)

თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31/12/2021
1 აშშ დოლარი/ლარი	3.5040
1 ევრო/ლარი	3.0976

ამონაგების აღიარება

ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი ან/და მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	კავშირგაბმულობის საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
პერიოდი 01/01/2021	-	11,142	11,795	12,342	140,062	24,814
შემოსვლა	988,693	698	3,222	194,508	89,326	2,966
ცვეთა	-	(634)	(353)	(17,660)	(4,556)	
ჩამოწერა						
პერიოდი 31/12/2021	988,693	11,207	14,664	189,190	224,832	27,780

4. სხვა მიმდინარე აქტივები

2021

გადახდილი ავანსი	1,436,444
საგადასახადო აქტივი	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	117,815
საქონელი	2,076,518
სულ	3,630,777

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**2021**

სავაჭრო ვალდებულებები	76,789
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	85
სხვა ვალდებულებები	25,603
სულ	102,478

6. ამონაგები**2021**

ამონაგები	8,009,544
სხვა საოპერაციო შემოსავლები	86,965
სულ	8,096,509

7. ადმინისტრაციული ხარჯები**2021**

დასაქმებულთა ანაზღაურება	(352,939)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(23,202)
იჯარის ხარჯი	(56,328)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(68,155)
საბანკო ხარჯი	(6,866)
მივლინების ხარჯი	(67,237)
საკანცელარიო ხარჯი	(1,053)
საწვავის ხარჯი	-
სხვა ხარჯი	(606,687)
სულ	(1,182,466)

8. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2021
საკურსო სხვაობა	(69,569)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	19,330
სულ	(50,239)

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღამდე (03.10.2022) სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 03 ოქტომბერს.

შპს „მწვანე ნერგები“-ს
დირექტორი გიორგი ლორთქიფანიძე


